№ 179

შაბათი, 21 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 179

შაბათი, 21 აგვისტო, 1899 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**ბაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ქვრივი ელისაბედ დავითის ასული, ოლღა ანდრიას ასული და სპირიდონ გიორგის ძე ბასილაშვილები, ეკატერინე გიორგის ასული და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძეები** აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი შვილისა, მეორე ქმრისა, მესამე და მეოთხე ძმისა და მეხუთე ცოლის ძმისას

## ნიკოლოოზ გიორგის ძის ბასილაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ ორბელიანის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში გარდაცვალებულის გასვენებაზედ დასასწრებლად კვირას, 22 აგვისტოს, სამების ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ. პანაშვიდი იქნება შაბათს, 21 მარიამობისთვეს დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (1—131—1)

**ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლა.** მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის თავისუფალი ვაკანსია 3 (მე-III პარალ. განყოფ., რომელიც შარშან გაიხსნა). სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის. შესაძლებელია, სექტემბერში მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქმნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენს.

თხოვნა უნდა შემოიტანონ აგვისტოს 31-მდის. თხოვნასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: ნათლობის და ყვავილის აცრის მოწმობები; 2 მოწმობა ქუთ. სათავად. აზნ. ბანკიდამ, რომ მოწაფის მშობელი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის. ხელმეორე ეგზამენი მოხდება 28, 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს. საკონკურსო ეკზამენი 2 და 3 სექტემბ. სწავლა დაიწყება 4 სექტემბერს.

ქუთაისის სათავად-აზნ. სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანიშვილი (2—6.—1)

გამოფენა-კონკურსი

## ქ. ოზურგეთში

ქუთაისის გუბერნიის მეფუტკრეთა გასამხნევებლად და დასაჯილდოვებლად, რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებ.თ, ქ. ოზურგეთში საქალაქო ბაღში, 26 აგვისტოდგან გამართავს მეფუტკრეთა ნაწარმოების გამოფენას.

გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველა მეფუტკრეს, როგორც კერძო კაცთ, აგრეთვე დაწესებულებათ, საზოგადოებათა და ამხანაგობათა.

დანიშნულ დღისათვის მეფუტკრენი, რომელთაც სურთ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ, წარმოადგენენ ზემო-აღნიშნულ ადგილას ფუტკრის ყოველგვარ ნაწარმოებს, მაგალითად: თაფლს, სანთელს, კრიპუჭს, თაფლიდგან გაკეთებულ სასმელებს, აგრეთვე ბუკებს (სკას), ფუტკარს და ყოველგვარ იარაღს, რომელსაც მეფუტკრენი ხმარობენ. ამასთანავე სასურველია წარმოადგინონ იმ მცენარეთა ყვავილი და თესლი, რომლებითაც ფუტკარი იკვებება.

საუკეთესო ნაწარმოებისათვის განყოფილება მწარმოებელთ დაასაჩუქრებს მედლებით, დიპლომებით და სხვა-და-სხვა იარაღის ჩუქებით.

სხვათა შორის, მსურველთ შეუძლიანთ გამოფენაზედ წარმოადგინონ ბაღოსნობის ნაწარმოები: მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლიავი, ლეღვი, შვინდი, ყურძენი, ნიგოზი (კაკალი), თხილი, ნესვი, საზამთრო და სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა და თესლეულობა.

გამოფენის დროს გაიმართება საუბარი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ: რიგიანის მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა და ბაღოსნობისა. (3—6.—2).

## ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა

სთხოვს იმათ, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ქართულ თეატრში 29 ამა აგვისტოს, როდესაც მათ დაურიგდებათ როლები და ამავე დღიდგან დაინიშნება რეპეტიციები. (5—უ.—3)

ქართული თეატრი

ნემეცების ბაღში, მიხეილის ქუჩაზედ.

**კვირას, 22 აგვისტოს,**

ქართულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნება

I

ეხლანდელი სიყვარული

კომ. 4 მოქმედ. გადმოკ. ვ. აბაშიძისაგან.

II

## ბუტიაობა

ვოდევილი 1 მოქ. აკაკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გარელი, რჩეულოვისა, ქსნისპირელი და სხვანი. ბ-ნნი საფაროვი, ურუშაძე, კარბელი, ხოსროევი, ჯაყელი და სხვანი.

ფასი ადგილებისა 20 კაპ—დგან 1 მ. 50 კაპ—მდე.

დასაწყისი 9 საათზედ.

(2—უ.—1) გამგე საფაროვი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.** სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების კომიტეტის დირექტორად დეკანოზი იოანნე ლომაური; სიღნაღის უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების განყოფილების დირექტორად ვაჭარი არტემ ოთარიშვილი.

ეპოძით კოლეჟსკი რეგისტრატორობას ფოსტა-ტელეგრაფის განტორების მოხელეთ: ახალ ათონისას მურთაძეს და ერევნისას თავ. ნიჟარაძეს და შოთაძეს.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, თელავის მაზრის ზოლიციის სამმართველოს მე-X კლასის შტატ-გარეშე მუოფი მოხელე თავ. გიორგი სიდომონ-ერისთავი.

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

პეტეფი-უნგრელთა დიდებული პოეტი.—სასწავლებლებში ყოფნა პეტეფისა.—თეატრი.—პროტესტანთა გიმნაზია.—პეტეფი-აფიშების დამტარებელი.—პეტეფის გაჭირვებული მდგომარეობა 1843 წელს.—პეშტში გამგზავრება.—პირველი ტომი ლექსებისა.—უკანასკნელი დღენი და სიკვდილი პეტეფისა.—ედგარ პოე-ამერიკელი მწერალი.—დედ-მამა პოესი.—აღზრდა.—სიღარიბე.—ლოთობა და სიკვდილი პოესი.

ამა წლის 31 ივლისს სწორედ 50 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც უნგრელთა დიდებული პოეტი ალექსანდრე პეტეფი გარდაიცვალა. უნგრელებმა დიდის ამბით გარდაიხადეს ეს მათთვის დიდ-მნიშვნელოვანი დღე და მრავალ გვარად სცეს პატივი დაუვიწყარ პოეტის ხსოვნას. პეტეფი უნგრელთა პირველი პოეტია, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიპოვა და მსოფლიო მწერალთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა, ამიტომ, ვგონებთ, მკითხველებისათვის საინტერესო იქმნება იმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, მით უმეტეს, რომ, თუ არ ვცდებით, ქართულს მწერლობაში არაფერი თქმული და დაწერილი ამ შესანიშნავ პოეტის შესახებ.

მთელი ცხოვრება პეტეფისა სამის სიტყვით შეიძლება აღინიშნოს: სიღარიბე, სიყვარული და სიკვდილი სამშობლოსათვის. პოეტი დაიბადა 1823 წელს და გარდაიცვალა 1849 წელს, მაშასადამე, პეტეფმა სულ 26 წელიწადი იცოცხლა; მაგრამ ეს ხან-მოკლე ცხოვრება მეტად მდიდარი იყო შინაარსით. უპირველესს ყოვლისა პეტეფი თავით-ფეხამდე უნგრელი იყო, ამ ხალხივით დაუდგრომელი და მოუსვენარი. ჯერ ისევ თხუთმეტის წლისა იყო პეტეფი, როდესაც უკვე ექვსი სასწავლებელი ჰქონდა მოვლილი. 1838 წელს ახალგაზდა პოეტი ქალაქ სელმეჩის გზას გაუდგა იქ მეშვიდე სასწავლებელში შესასვლელად. მაგრამ ვერც იქ გასძლო დიდ ხანს: თავისმა ურჩობამ და მოუსვენარმა ხასიათმა იმ სასწავლებლის კედლებიც დაატოვებინა. გაჯავრებულმა მამამ, ღარიბმა ყასაბმა, ეხლა-კი ვეღარ მოითმინა შვილის ასეთი დაუდეგარი ცხოვრება და მისწერა, ამიერიდგან ჩემგან გროშს აღარ მოელოდდეო.

მაგრამ ყმაწვილმა კაცმა მამის მუქარა აინუშშიაც არ ჩააგდო, სელმეჩიდგან დაჰკრა ფეხი, პირდაპირ უნგრეთის დედა-ქალაქ პეშტში ამოჰყო თავი და იქ თეატრში უბრალო სტატისტად შევიდა. სტატისტობის გარდა პეტეფი ხანდისხან ფარნით ხელში არტისტ ქალებსაც აცილებდა ხოლმე. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ის ორიოდე გროში, რომელსაც პეტეფი სტატისტობით იღებდა, კუჭს ვერ გუძღებდა, ამიტომ მალე ამ საქმეს თავი გაანება და ჯარის-კაცად შევიდა, მაგრამ პირველსავე თვეს ავადმყოფობამ იძულებულ ჰყო სამხედრო სამსახურზედაც ხელი აეღო.

ამ დროს პეტეფი თვრამეტის წლისა იყო. უკვე ჭირ-ვარამ გამოვლილმა, ხელ-ახლა მოიწადინა სწავლის განგრძობა; ამ აზრით პროტესტანტთა გიმნაზიაში შევიდა. ამ გიმნაზიის მასწავლებელთა შორის ერთი მოხუციც იყო. მოსწავლეები არაფრად აგდებდნენ მოხუცს და ხშირად სასაცილოდაც-კი იგდებდნენ. ამ შემთხვევაში ყველაზედ მეტ ნიჭს პეტეფი იჩენდა. ერთხელ, როდესაც მოხუცი მასწავლებელი უკვე კლასში იჯდა და მოსწავლეებს გაკვეთილს უხსნიდა, პეტეფი თავისის წინანდელის, ჯარის-კაცის გახუნებულ და გაქონიანებულ ტანისამოსით შეიჭრა კლასში და მასწავლებელს „ჩესტი" გაუკეთა. მოსწავლეებმა, რასაკვირველია, საშინელი ხარხარი ასტეხეს. მეორე დღესვე პეტეფის თავისი ქაღალდები ჩააბარეს და გამოუცხადეს, მიბრძანდი, სადაცა გნებავსო.

პეტეფი ხელ-ახლა სცენას დაუბრუნდა. ამ ჟამად პეტეფის აფიშების წერა და ამ აფიშების ქუჩა-ქუჩა დატარება მიანდვეს. მომავალი სახელი და დიდება უნგრელებისა მთელი სამი თვე ასრულებდა ამ თანამდებობას სამს თვეში მრავალი ქალაქი და სოფელი მოიარა და დაწვრილებით გაიცნო უნგრელების ცხოვრება.

როდესაც დასი მოგზაურობიდგან დაბრუნდა, პეტეფი ხელ-მეორედ პროტესტანტთა გიმნაზიაში შევიდა. ამ ხელად გულ-მოდგინედ მიჰყო ხელი სწავლას და სხვა-და-სხვა წიგნების კითხვასაც მოუხშირა. ამავე დროს გაიცნო და დაუმეგობრდა უნგრელთა სახელოვან რომანისტს მავრ იოკაის, რომლის მეცადინეობითაც ერთს ჟურნალში პირველად დაიბეჭდა პეტეფის ლექსები. მაგრამ შეძლება სწავლის განგრძობის ნებას არ აძლევდა: გაკვეთილები, უმრავლესი სახსარი ცხოვრებისა, შემოაკლდა. ბოლოს ისე გაუჭირდა საქმე, რომ იძულებული გახდა სწავლისათვის თავი გაენებებინა.

ახალგაზდა პოეტმა გადასწყვიტა უკანასკნელად ეცადა ბედი სცენაზედ. ხელ-ახლა შევიდა დასში, ხელ-ახლა დაიარა კიდით-კიდემდე მთელი უნგრეთი, მაგრამ იმის სიღარიბეს და გაჭირვებას მაინც არაფერი ეშველა. ეს გაჭირვება უფრო გაორკეცდა მაშინ, როდესაც 1843 წელს ქ. პრესბურგში სცენაზედ აღარ მიიღეს. თუმცა ამ დროს ჟურნალ-გაზეთები სიამოვნებით ჰბეჭდავდნენ იმის ლექსებს, მაგრამ შემოსავალი არა ჰქონდა, ასე რომ პოეტი, ძონძებსა და კონკებში გახვეული, ნახევრად მშიერი და მწყურვალი იყო. ასეთ გაჭირვების მიუხედავად პეტეფიმ თავისს საყვარელ საქმეს—პოეზიას, მაინც თავი არ გაანება, პირიქით 1843—44 წლის ზამთარში იჯდა თავისს ცივს ოთახში და სწერდა ლექსებს. ამ ნაწერებიდგან ერთი დიდი რვეული შეჰკრა და ზევიდგან დააწერა: „ლექსები, პირველი ტომი".

ბოლოს იქამდის გაუჭირდა საქმე,

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორმა პოლკ. სვეჩინმა 12 აგვისტოს მაჩხაანის სასოფლო ქსენონის გახსნის დროს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მთავარ მართებელს ესსენტუკში:

„დავესწარი რა სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანში კურთხევას და გახსნას პირველ სასოფლო-ქსენონისას, რომელიც დაარსებულ იქმნა რამდენისამე სასოფლო საზოგადოების ყრილობის განაჩენით და მიმაჩნია რა ეს კეთილ საქმედ სოფლის ცხოვრებაში და აგრეთვე მაგალითად სხვა საზოგადოებათათვის, რაშიაც დავრწმუნდი მგზავრობისა და საზოგადოებათა ყველა წარმომადგენელთან ლაპარაკის დროს, მოვალეობად ვრაცხ ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებას ხსენებულ ქსენონის გახსნის ამბავი. ადგილობრივის საზოგადოების წარმომადგენელთ ცხოველი მონაწილეობა მიიღეს ამ კეთილ საქმეში. ყველა დამსწრენი, სოფლების მცხოვრებლებთან ერთად, სვამენ კავკასიისათვის ძვირფას სადღეგრძელოს თქვენის ბრწყინვალებისას“.

ამ დეპეშაზედ შემდეგი პასუხი მოვიდა მთავარ-მართებლისაგან:

„გულითად თანაგრძნობას ვუცხადებ სოფლის საზოგადოებათა მისწრაფებას კეთილ საქმისადმი; ღმერთმა ინებოს, რომ ეს მისაბაძ მაგალითად შეიქნეს სხვა სოფლის საზოგადოებათათვის. გულწრფელი მადლობა გარდაეცით ჩემგან ყველას, ვინც ქსენონის გახსნაში მონაწილეობა მიიღო“.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინს მოელიან ტფილისში 28 აგვისტოსათვის.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა 18 აგვისტოს მოისმინა ექსპერტის თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენება გორის მაზრის სოფ. არაშენდის ოთხს ვენახში ფილოქსერის გაჩენის შესახებ და დაადგინა ცნობილ იქმნას არაშენდის ოთხი ვენახი ფილოქსერიან ვენახებად, ხოლო მახლობელი ვენახები კი—ფილოქსერის მხრივ საეჭვო ვენახებად. ამასთან საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა დაწვრილებით იქმნას გამოკვლეული ყველა ზემოდ მოხსენებული ვენახები; ხოლო ფილოქსერის გავრცელების თავიდგან ასაშორებლად კი, აკრძალულ იქმნას ვაზების, ნამყენებისა და საზოგადოდ ფესვებიან მცენარეთა გატანა აღნიშნულ ადგილიდგან.

*** მცირე-წლოვან დამნაშავეთა ზემო-ავჭალის ახალშენის დაარსების დღიდგან ამ ახალშენში მიუღიათ სულ 74 მოსწავლე, რომელთა შორის განუთავისუფლებიათ ზნეობის გასწორებისათვის 20 მოსწავლე; გამოურიცხავთ 6 მოსწ., გაქცეულა 1 და გარდაცვლილა 1. განთავისუფლებულ ყმაწვილთა შორის 2 ჰმუშაობს ტფილისის რკინის გზის სახელოსნოში, 4-ს მეჩექმეობა დაუწყია ტფილისში, 2 ჰმსახურებს ტფილისში მზარეულად, 1—მებაღედ, 1—საბოტანიკო ბაღში, 1—ქალაქის სანერგეში, 1 წასულა ქ. ხარკოვში მამასთან ერთად, სადაც დაუწყია დურგლობა, 1 დურგლად შესულა ბათუმის ერთს ქარხანაში, 1 გარდაუციათ მამისათვის, რომელსაც სახლი ჰქონია ტფილისში, ხოლო დანარჩენი 6 გაუგზავნიათ სამშობლოში, სადაც მებაღეობა და მეურნეობა დაუწყიათ.

ყველა განთავისუფლებულ მოსწავლეთ იმდენად შეუსწავლიათ ახალშენში დურგლობა, ჩექმის კერვა, მებაღეობა, რომ შეუძლიანთ ლუკმა პურის შოვნა. გამორიცხულ ყმაწვილთა შორის სამი გამოურიცხავთ დიდის ხნით გაპარვის გამო, 2—იმიტომ, რომ მკურნალისაგან შეუმოწმებელნი მიუღიათ ახალშენში, ხოლო შემოწმების შემდეგ-კი სიფილისით დაავადებულნი აღმოჩენილან, და ერთი კიდევ იმის გამო, რომ 19 წლისა გამომდგარა. ახალშენში ხელმეორედ დაუტუსაღებიათ ერთი მოსწავლე, რომელიც ახალშენში ერთ თვემდე დარჩენილა, შემდეგ გაპარულა და გაპარვისათვის დაუთხოვნიათ. განთავისუფლებულ მოსწავლეთა შორის ჯერ არც ერთი არ დაუტუსაღებიათ ხელმეორედ. ამ ჟამად ახალშენში არის 46 მოსწავლე.

*** მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი სანდრიგაილო დაბრუნდება ესენტუკიდგან ტფილისში 28 ამ თვეს.

*** უსინათლოთა სკოლის სადგომის აშენება ავლაბარში დამთავრდება ამ წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის მარტში სკოლა გადავა ახალს სადგომში.

*** ავჭალის ქუჩის სახლის პატრონებმა ტფილისის გუბერნატორს საერთო თხოვნა წარუდგინეს, რომელშიაც აცხადებენ, რომ ავჭალის ქუჩის მოედანი ამ ბოლოს დროს სულ უფრო და უფრო მცირდება იმის გამო, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 1892 წელს უფასო სასადილო ააგო და წელს-კი პატარა ბაღჩაც გააშენა ზედაო. ამ დღეებში კიდევ ქალაქის გამგეობამ ნება დართო ვიღაც სახლის პატრონს ზ—ს სახლი ააშენოს მოედნის იმ ნაწილზედ, რომელიც მას უკანონოდ აქვს მითვისებული. ამის გამო სახლის პატრონები შუამდგომლობენ ჩამოერთვას ზ—ს სასამართლოს წესით მითვისებული ადგილი.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი დანილოვი დანიშნულ იქმნა მაიკოპის ღაბალ სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორად.

*** სოხუმის მომავალ საბაღოსნო გამოფენის დროს მოხდება შავის ზღვის პირის ბაღოსნობის მოღვაწეთა კრება, რომელსაც საგნად აქვს გამოარკვიოს არსებითი საჭიროებანი მებაღეობისა, მებოსტნეობისა და მევენახეობისა და აგრეთვე შეჰკრიბოს ცნობები სასოფლო მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

*** ქალაქის გამგეობამ უკვე განიხილა ქალაქის მომავალ წლის შემოსავალთა აღრიცხვის პროექტი, რომელშიაც მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მხოლოდ ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი; ამ პროექტით მომატებულია ქალაქის წყლის მილების შემოსავალი 250,000 მანეთამდე და აგრეთვე სავაჭრო მოწმობათა გარდასახადის შემოსავალი 5,700 მანეთით; შემდეგ გამორიცხულია მტკვარზედ ყინულის მოჭრისა და კახეთის მოედნის დუქნების გარდასახადის შემოსავალი, რადგან ყინულის მოჭრა ქალაქის საზღვრებში აკრძალულ იქმნება, ხოლო დუქნები კახეთის მოედანზედ უნდა გააუქმონ.

*** გუშინ, 20 აგვისტოს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა ყასაბის არტემ მარტიროზოვის საქმე, რომელსაც ყასბის დუქანიჰქონია მიხეილის ქუჩაზედ, მარტიროზოვისავე სახლებში და რომლისათვისაც უპოვნიათ $6^1/_2$ გირვანქა წამხდარი და გამოუსადეგარი ხორცი. საქმის განხილვას თვით მარტიროზოვი არ დაესწრო. მომრიგებელ-მოსამართლემ მარტიროზოვს ერთის თვით დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას 15 ათასი მან. სოფ. თიონეთსა და ახმეტას შუა გზის შესაკეთებლად 30 ვერსის სიგრძეზედ.

*** სექტემბრისათვის ტფილისში მოელიან საფრანგეთიდგან 100 მდე მგზავრს, რომელთაც ამიერ-კავკასიის რკინის გზისათვის საგანგებო მატარებელი შეუკვეთნიათ ბათუმიდგან გამოსამგზავრებლად.

*** წელს გორის მაზრის სოფ. ცხინვალში აგრონომმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა საცდელად დასთესა უცხო ქვეყნის 6 ჯიშის სიმინდი იმ აზრით, რომ ერთ-ერთი ჯიშის სიმინდი გავრცელებულ იქმნას კავკასიაში. ერთის ჯიშის გარდა, ყველა დანარჩენი ჯიშის სიმინდი ადგილობრივს სიმინდზედ დაბალი აღმოჩნდა, რისგამო მცხოვრებთ მხოლოდ ამ ჯიშის სიმინდი ურჩევს. სახელად ამ სიმინდს „განგანი“ ეწოდება. მისი თესლი იყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში.

*** 24 აგვისტოს ტფილისში განზრახულია ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა კრება. ამ კრებაზედ განზრახვა აქვთ განიხილონ სახაზინო პალატების-მიერ შემუშავებული მასალები, რომლის შემწეობით შესაძლებელ შეიქმნება საერო გარდასახადების მომატება კავკასიაში, მაგალითად: ქალაქის უძრავ ქონებაზედ, კერძო, სახაზინო, საუფლისწულო, სადავო და საგლეხო ნადელგარეშე ადგილ მამულზედ. მომატებულ იქმნება აგრეთვე საკომლო გარდასახადი, მაგრამ ეს შეეხება, როგორც იმის, მხოლოდ შავის ზღვის პირის გუბერნიას; განზრახულია, დასასრულ, ქალაქ გარეთ მყოფ საქარხნო და სხვა და სხვაგვარ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ 2 პროცენტის გარდასახადის მომატება. („ახ. მ.“).

*** ქალაქის გამგეობა კიდევ მრავალად იღებს სხვა და სხვათაგან თხოვნებს იმის შესახებ, რომ მათ იჯარით მიეცეთ ქალაქის ადგილები, უმთავრესად, ნაძალადევის მახლობლად და ნავთლუღში, ყარსის რკინის გზის იქით—აგედგან. წელს მარტოლომის ტბასთან, ნაძალადევის უკან, გამგეობას გაუცია 170 ადგილი სახლების ასაგებად. განსაკუთრებით ბევრი თხოულობს სახლების დასადგმელად ადგილების იჯარით დათმობას ნაძალადევში; ამის გამო საიჯარო ფასმა ნაძალადევში ერბაშად აიწია 10 კაპიკიდგან 40 კაპიკამდე ერთ ოთხ-კუთხ საჟენზედ. გამგეობას ჯერ კიდევ არ დაუდვია ხელშეკრულება ყველა ნაძალადეველთან, რომელთა უმრავლესობა გაურბის ასეთ ხელშეკრულობას. („ტფ. ფ.“).

*** „ახ. მიმ“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ წელს ადგილობრივ სამეურნეო სკოლასთან 15 სექტემბრიდგან 20 ოქტომბრამდე გამართული იქმნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამავე სკოლასთან და იმავე დროს გაიმართება ბაღეულობის გამოფენა საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ. როგორც სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, ისე საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას საკმარისად ჰქონიათ მედლები და ფული ნაწარმოების წარმადგენელთა დასაჯილდოებლად. ქუთაისის განყოფილებას აურჩევია გამოფენის გამმართველი კომიტეტი თავ. ა. ო. მიქელაძის თავმჯდომარეობით და ნ. ტ. კურნალის მდივნობით.

*** კირპიჩნის ქუჩაზედ, № 61, საკუთარს სახლში სტხოკრობს კინმე

---

რომ გადასწყვიტა პეშტში წასვლა, —იქნება იქ მაინც გავაწყო რამეო. ერთ მშვენიერ დილას გადაიკიდა მხარზედ ტომარა, ამოიდო იღლიაში თავისი რვეული, დაიჭირა დიდი რკინის ჯოხი და შუაგულ ზამთარში გაუდგა პეშტისაკენ გზას. ბევრი ტანჯვა და გაჭირვება გამოიარა პეტეფიმ ამ დროს. აი, თვით პოეტი როგორ აღწერს ამ მოგზაურობას: „მე მარტოდ-მარტო მივდიოდი. გზაზედ არც ერთი ცოცხალი არსება არ შემხვედრია: ყველა სახლში იყო და თბილ ბუხართან თბებოდა. აუტანელის სიცივისაგან ცრემლები მცვიოდა თვალთაგან. ბოლოს, ერთის კვირის ასეთის მოგზაურობის შემდეგ, ჩავედი პეშტში. პირველ ხანს არც ეს ჩასვლა იყო სანუგეშო: ქალაქში არავის ვიცნობდი და არ ვიცოდი რა მექნა. გარდა ამისა ძონძებსა და კონკებში გახვეულს არც-კი ვინმე ყურადღებას მომაქცევდა. ბოლოს, სასოწარკვეთილმა უკანასკნელ საშუალებას მივმართე: დაურიდებლად შევედი მთელს უნგრეთში გამოჩენილ და პირველ კაცად ცნობილთან და ჩემი, გზაში დაგლეჯილი და გაცვეთილი, რვეული გადავეცი. შესანიშნავმა კაცმა რვეული გულ-დასმით წაიკითხა. იმის გულ-მხურვალე მეცადინეობით „საერო კლუბმა“ ლექსები გამოსცა და ამ დღიდგან ფულისა და სახელის პატრონი შევიქენი. ის კაცი, რომელმაც მე სიცოცხლე მომანიჭა, არის შესანიშნავი პოეტი ვერესმორტი“.

მართლაც და ამ დღიდგან პოეტი სიღარიბეს სამუდამოდ გამოეთხოვა. იმის ლექსებს ჟურნალები სიხარულით ბეჭდავდნენ და ავტორს კარგს სასყიდელს აძლევდნენ. ამავე დროს პოეტმა ცოლი შეირთო.

პირველმა ტომმა ლექსებისამ პეტეფის დიდი სახელი გაუთქვა. კრიტიკა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო: ერთი ბანაკი აქებდა პოეტს, იმის ლექსებში ახალ, რეალურ მიმართულებას ჰხედავდა; მეორე ბანაკი-კი—ძველის, კლასიკურის მიმართულების მომხრე,—ჰკიცხავდა პოეტს დ მიწასთან ასწორებდა იმის ნაწარმოებს. ეს ბანაკი ყველაზედ მაღლა აყენებდა ფორმას, ლექსთ-წყობას, მაღალ და მრავალ სიტყვაობას. გარდა ამისა იმათის აზრით პოეზიის შინაარსად ყოველ დღიური ჭირ-ვარამი არ უნდა გამხდარიყო. პოეზიას უნდა ექო და ედიდა წარსული დრონი, მეფენი, მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი. პეტეფის ლექსები კი ყველა ამას მოკლებული იყო. ამის ნაცვლად იქ შეხვდებოდით გულ-საკლავ სურათს ღარიბის სოფლელის ცხოვრებისას, ბუნების სურათების აღწერას, თავისუფლების ჰიმნს, სამშობლოს სიყვარულს. საჭიროა მოვიხსენოთ, რომ ამ დროს უნგრეთი პოლიტიკურად დამონავებული იყო. პოეტს გულს განსაკუთრებით ეს გარემოება უწყლავდა და უწამლავდა. მრავალს ლექსში პეტეფი ჰკიცხავდა უნგრელთა დაბეჩავებას, დალაჩრებას; ამასთან ტიცხალის და ფერადის სურათებით აღწერდა თავისუფლებას და თავ-გამოდებით ურჩევდა თავისს ხალხს ამ თავისუფლების მოპოებას. ყველა ლექსი პეტეფისა ღრმა გრძნობით და მაღალის პოეზიით არის გამსჭვალული. ზოგიერთი იმისი სალირიკო ლექსი ჰეინეს საუკეთესო ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება. ალექსანდრე პეტეფი განხორციელებაა უნგრელთა პოეზიისა. მან თავისს ლექსებში აღბეჭდა ამ ხალხის სულის კვეთება, იდეალი, ფიქრი და ზრახვა. ამის გამო იგი უნგრელთა საერო პოეტად გარდაიქცა.

პეტეფის თხზულებათა განხილვასა და გარჩევას უნგრელთა და ნემეცთა კრიტიკოსებმა მრავალი წიგნი უძღვნეს. პეტეფის ლექსები თითქმის ყველა ევროპიულ ენაზედ არის ნათარგმნი, სხვათა შორის რუსულზედაც.

როგორცა ვსთქვით, ოც-და-ერთის წლის პოეტმა ცოლი შეირთო და მყუდრო, მშვიდ ცხოვრებას მიეცა. მაგრამ ამ მყუდრო ცხოვრებამ მხოლოდ ხუთი წელიწადი გასტანა. 3 ივლისს, 1849 წელს უნგრელთ ამბოხება მოახდინეს. დიდის ხნის დამონავებულმა ხალხმა თავისი საყვარელის პოეტის სიტყვები შეისმინა და თავისუფლების მოპოება მოისურვა. ყველა, ახალგაზრდა და მოხუცი, მდიდარი და ღარიბი, ჯარის-კაცად ეწერებოდა და მჩაგვრელის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. ბოლოს ჯარი შეიკრიბა და საბრძოლველადაც გაემართა. ჯარმა მეზო-ბერენზედ გაიარა, სადაც იმ დროს პეტეფი სცხოვრობდა. პოეტს გულმა აღარ მოუთმინა, შინ ჯდომა სამარცხვინოდ ჩასთვალა მაშინ, როდესაც მამულის შვილნი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად მიემგზავრებოდნენ: ახალგაზდა პოეტმა ცოლსა და ერთის წლის შვილს თავი გაანება და ბრძოლის ველისაკენ გაუდგა გზას.

შეგესვარის ბრძოლა დაიწყო 19 ივლისს, 1849 წელს, დილით ადრე და დასრულდა იმავე დღეს საღამოთი უნგრელთა დამარცხებით.... პეტეფიმ ამ ომს შესწირა თავი. იმისი გვამი ბრძოლის შემდეგ ბევრი ეძებეს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახზატოვი. ამ მახზატოვსა ჰყავს 20 წლის შვილი. თვე ნახევრის თუ ორის თვის წინად შვილს სულით ავადმყოფის ნიშნები გამოაჩნდა იმდენად ძლიერ, რომ ახალგაზრდა ყმაწვილის კაცის თავისუფლად გაშვება შეუძლებელი იყო, რის გამო იგი მოკლე რკინის ჯაჭვით დააბეს; მთელი ხუთი კვირაა უკვე, რაც ეს საცოდავი კაცი მაგარის ჯაჭვით არის დაბმული. საჭირო პოლიციამ, ან ვისიც ვალდებულებაა, ყურადღება მიაქციოს ამას და ყმაწვილი კაცი საავადმყოფოში მოათავსოს.

** გორის მაზრის აზნ. ქუმსი გიორგისძეს მაღრაძეს 200 მან. შეუწირავს ტფილისის სამოსამართლო უწყების საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ძევრი,** (ქუთაისის მაზრა). ამ სოფლის არსებობა „ივერიის“ მკითხველებმა არც კი იციან და სხვა ავი და კარგი ამ სოფლისა ვის რა ეცოდინება. ამისათვის სასურველია, მისი გარემოება ცოტათი მაინც ცნობილ ვჰყოთ. ძევრი გაშენებულია ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგიდგან ორი ვერსტის მანძილზე, ხოლო კავკასიის მთავარ რკინის გზიდგან—ცხრა ანუ ათს ვერსტზედ. ამისდა მიუხედავათ, არც ერთს ამ გზასთან შეერთებული არა ყოფილა დღემდის უგზოობისა და უხიდობის გამო. მაგრამ დღეს-კი ბ-ნის მეთოდე ქათამაძის მეცადინეობით ტყიბულის რკინის გზაზედ, ჩვენი სოფლის მახლობლად, დაარსდა ბაქანი და გზაც ცოტაოდნად შეაკეთეს ბაქანამდის. დაბა ჩხარამდის ძევრიდგან სამი ვერსტია, მაგრამ უგზოობისა და უხიდობის გამო ამ დაბიდგანაც მოწყვეტილი ვართ, მაშინ როდესაც იქ არსებობს აფთიაქი, და სხვა რომ არა ვსთქვათ რა, მარტო იმას ვერ მოვშორდებით. დღეს გადმე უფრო საჭირო ადგილად გახდა ჩვენთვის ჩხარი, რადგან იქ ბ-ნ ქათამაძისვე მეცადინეობით დაარსდა მომრიგებელ სასამართლოს განყოფილება, და რადგან ქუთაისი ჩვენს სოფელზედ დაშორებულია არა ნაკლებ ოცდა ექვსი ვერსტისა, იმედი გვაქვს მთავრობა მიაქცევს ამას ყურადღებას და ძევრს ამ განყოფილებას მიაწერს, რითაც არა მცირედი ხარჯი და დღეების მოცდენა აგვშორდება.

ბ-ნი მეთოდე ქათამაძე ახლა შეუდგა მდინარე მერულაზე ხიდის გაკეთების საქმეს და იმედი გვაქვს, როგორც სხვა მის მიერ დაწყებული საქმეები, ისე ესეც მალე დასრულდება. რაღა თქმა უნდა, ამ საქმეში შემწეობას არ მოაკლებენ ქათამაძეს ბ-ნნი ჩხარის და ტყიბულის პოლიციის ბოქაულები. აგრეთვე ურიგო არ იქმნება ჩხარის და სიმონეთის საზოგადოებათა მამასახლისებიც დაეხმარონ, თუმცა-კი იმედი არა მაქვს. ღმერთმა დაგიფაროთ სოფლის მამასახლისებთან საქმის დაჭერისაგან: რას ბრძანებთ, როცა თავიანთ უფროსების ბრძანებას უგლიან გვერდს, თქვენს თხოვნას როგორ მიაქცევენ ყურადღებას. როგორც გავიგეთ, ბ-ნი ქათამაძე ამ ჟამად ცდილობს თურმე, ჩხარში დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის შესახებ თხოვნა უკვე დაუმზადებია მთავრობისათვის მისართმევად. თუ ეს საქმეც ასრულდა და ძევრიც დ. ჩხარზედ მიაწერეს, მაშინ კი დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი სოფელი წინ წაიწევს.

ძევრი არხეოლოგიის მხრით რამდენიმეთ შესანიშნავია: აქ არის მეფის (?) ნამოსახლი და იმის მახლობლად შესამჩნევი სიმაგრენი ჯარების დასაყენებლად და მათი სურსათის შესანახად. ამ ადგილს ხალხი უწოდებს ვეფხვის ტყაოსანის გმირის—ტარიელის ციხეს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო წ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს თავ-შესაფარი და სიმაგრენი უნდა უოფილიყოს აქ, ვინაიდგან არგვეთის მთავართა სამშობლო ეს სოფელი იყო.

ჩვენი სოფელი ჭირნახულის მოსავლით სხვა სოფლებს თუ აჯობებს, თორემ უკან არ ჩამორჩება. აქ საზოგადოთ ყველაფერი ბლომად მოდის, მაგრამ წელს-კი ნამეტანმა გვალვამ გააფუჭა ნამუშევრები. ამავე სოფელში არის შავი ქვის მადანი, რომელსაც არა მცირედი სარგებლობა მოაქვს. აგრეთვე აქვე არის რკინის წყაროები, რომელნიც ეკუთვნიან გლეხთ გიგაშვილებს, მაგრამ რადგან ისინი ქონებითაც და გონებითაც ღარიბნი არიან, ამისათვის ვერც თითონ აკეთებენ და არც სხვას აძლევენ მოსაწყობად. ამ წყაროებს რომ რიგიანი პატრონი ჰყავდეს, იმათგან უკან არ ჩამორჩება, აქ წყალიც ბლომათ გამოდის და კარგს ადგილზედაც არის.

ანემპოდისთე როფაქიძე

## რუსეთი

—

გაზ. „როსია“-ს სიტყვით, 28 აგვისტოს დაიწყება იმ განსაკუთრებულ კომისიის სხდომები, რომელსაც მიენდო სხვა და სხვა გუბერნიებში ერობის შემოღების პროექტის საბოლოოდ შემუშავება. კომისია დაამთავრებს მუშაობას ოქტომბერში და ჯერ ისევ ამა წლის შემოდგომაზედ პროექტი განსახილველად გარდაეცემა სახელმწიფო საბჭოს.

— ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატს ე. ბუნიმოვიჩსა და ტიტ. სოვ. ა. როჟდესტვენსკის გამოუგონიათ ისეთი იარაღი, რომელიც ელექტრონის შეწევნობით აწყობს ასოებს და დაშლის ანაწყობს. ამ იარაღის მეოხებით ასოთ-ამწყობთა შრომას დიდად დაეკარგება მნიშვნელობა.

— საერო განათლების სამინისტრო შეუდგა იმ საგნის განხილვას, თუ როგორ უნდა მოეწყოს იმპერიის განაპირა ადგილებში მოძრავი რუსული სკოლები ადგილობრივ უცხოტომთათვის.

## უცხოეთი

—

**ავსტრია.** სამინისტროს წინააღმდეგ მოძრაობა ავსტრიაში თანდათან მატულობს. ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ პარლამენტის დაუკითხავად, მე-14 მუხლის ძალით, მოქმედებას მთავრობისას არავინ არა ჰყავს მომხრე და ეროვნებისა და პოლიტიკურ რწმენის განურჩევლად ყველანი მოწადინებულნი არიან შეიცვალოს ამ წესით მართვა-გამგეობა სახელმწიფოისა. ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, თუ როგორი დემონსტრაცია მოახდინეს ნემცებმა ბოჰემიის ქალაქ აშში. ამ მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია ახლო-მახლო ქალაქების მცხოვრებლებზე და აშის მოქალაქეთ არც ისინი ჩამორჩნენ უკან. მეორე დღესვე, საღამოს, ერთსა და იმავე დროს მოხდა დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ ეგერსა, ელბოგერსა, ფოლკენაუს და ზაასცა. ფოლკენაუში მანიფესტანტებმა ჟანდარმების ყაზარმებთან გაიარეს. ხალხს წინ ბავშვები მიუძღოდნენ, რომელთაც ხელში შაქრის ქუდები ეჭირათ. პოლიცია გადაეღობა წინ, მაგრამ ვერას გახდა და შემდეგ გარეშე ხალხის მსგავსად ცქერა დაუწყო. ზაასცში დიდძალმა ბრბომ ყველა ქუჩები ჩამოიარა და შემდეგ დამოკის წინ სამაგალითო დემონსტრაცია მოახდინა. შემდეგ ბრბო გაემართა ჟანდარმების ყაზარმებისაკენ და ქვებით ყაზარმების ფანჯრები ჩალეწა. ნაშუაღამევამდისინ ქუჩებში ყველგან მთავრობის ლანძღვა გინება ისმოდა. ადგილობრივმა პოლიციამ ვერსად ვერა გააწყო მანიფესტანტების წინააღმდეგ და ამიტომ ჯარები იქმნა დაბარებული.

—

**ინგლისი.** როგორც გაზეთები ამბობენ, ტუნელის გაყვანა ინგლისსა და ირლანდიას შორის თითქმის გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნიათ. კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს პროექტის შედგენა ამ საქმის შესახებ, საუმჯობესოდ უცვნია მეჯის კუნძული და პორტობელო შეუერთდეს ერთმანეთს ტუნელით. ანგარიშით, ამ საქმის დაგვირგვინება მოითხოვს 10,000,000 გირ. სტერლინგს. ტუნელს 60 კილომეტრი ექმნება სიგრძე.

—

**ოსმალეთი.** პორტას თავისი ელჩისათვის ლონდონში მიწერილობა გაუგზავნია ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის გარდასაცემად. ხსენებულ წერილში პორტა წინააღმდეგობას აცხადებს თურმე ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ნილოსის ხეობიდგან ჩადის ტბამდე მდებარე ქვეყნების განაწილების გამო ერთმანეთ შორის. ოსმალეთის მთავრობა ამტკიცებს თურმე, ხსენებული ადგილების პატრონად და უზენაეს მფარველად ხონთქარი ითვლებოდაო და, მაშასადამე, არავის უფლება არა ჰქონდა სხვის საკუთრებას შეხებოდაო. ამასთანავე ინგლის-საფრანგეთის 1890 წლის დადგენილებასაც მოჰყავს თურმე ოსმალეთს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად: ხსენებულს დადგენილებაში აღიარებული ყოფილა ოსმალეთის სულთანის უფლებანი ხსენებულს ქვეყნებზედ.

—

**სერბია.** სერბიის მთავრობამ დაიბარა თავისი ელჩი რუმინიის სატახტო ქალაქიდგან—მიკა გიორგიევიჩი. ამის მიზეზი ის იყო, რომ გიორგიევიჩმა ვერ აღმოაჩინა, ბუხარესტში ვინ უწყობდა კნეჟევიჩს ხელს მილანის წინააღმდეგ. მ. გიორგიევიჩი მინისტრად იყო რადიკალურ კაბინეტებში, რომელთაც სხვა-და-სხვა დროს სათავეში უდგნენ—პაშიჩი, ხრისტიჩი და სიმიჩი; შემდეგ იგი სერბიის წარმომადგენლად გაიგზავნა პარიჟში, სადაც 1893 წელს კინაღამ მოჰკლა ანარქისტმა ლეოტიემ. თუმცა რადიკალურ დასს ეკუთვნოდა, მაგრამ დღემდის გეორგიევიჩი დიდად მიღებული კაცი იყო ალექსანდრე მეფის სასახლეში.

—

**ბელგია.** სოციალისტთა დასის მთავარმა საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს ორშაბათს დასის წარმომადგენელთა საგანგებო საზოგადო კრება. კრების საგანია: რა ღონის მიებანი უნდა იქნას ნახმარი, რომ ხელი შეუშალონ საარჩევნო კანონის მიღებას პარლამენტის დაუთხოვნელად. გაცხარებულ ბაასის მოელიან რევოლიუციონერ სოციალისტების წარმომადგენელთა და დასის პოლიტიკოს-მეთაურთა (მაგალ., ვანდერველსა, ბექტორსა, დენსა და სხ.) შორის. მთის ოლქების სოციალისტები თხოულობენ სარევოლიუციო მოქმედებას, რომელიც ივნისში საუცხოვო გამარჯვებით დაგვირგვინდა. მაგრამ ამ ჟამად-კი ისინი ვეღარ იქონიებენ საზოგადოების თანაგრძნობის იმედს.

## მცირე შენიშვნა ბ-ნ ?-ს პასუხად

—

გაზეთ „ივერიის“ № 65-ში მოთავსებულია კრიტიკა ბ-ნ ?-სა სიმონ ქვარიანისაგან დაწერილ ფრანგულ წიგნაკის „კავკასიაში მეკვენახეობა-მეღვინეობის“ შესახებ. უნდა მოგახსენოთ, ერთის მხრივ დიდად სასიამოვნოდ დაგვრჩა, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა არა სტოვებს უყურადღებოდ არავითარს შრომას, რაგინდ სპეციალი ხასიათი ჰქონდეს და თავისს მსჯავრს სდებს, მაგრამ მეორე მხრივ-კი დიდად დაგვაღონა, რადგან, როგორც ეტყობა, ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსთაგანი ვიწრო შეხედულებაზედ ამყარებს თავისს კრიტიკას და მასთან ეცდება ისეთს საგნის განხილვას, რომელიც სრულიად არ გაეგება. სწორედ ამის ნიმუშს წარმოგვიდგენს ბ-ნ ?-ს მსჯავრი ზემოთქმულ წიგნაკის შესახებ. არ იფიქროს მკითხველმა, რომ მე ან ქვარიანის მაქებ-მადიდებელი ვიყო, ან ვექილი და ან ამ ჩვენის დიდებულ კრიტიკოსის მცნობელი, ხოლო

---

რამ ველარსად იპოვნეს. ხალხს მაინც არა სჯეროდა საერო პოეტის სიკვდილი. იმისმა ფანტაზიამ მრავალი ლეგენდა შეჰქმნა ამის გამო; ამბობდენ, მაგალითად, რომ პოეტი ტყვედ წაიყვანეს და მაგარ ციხეში დაატიმრესო. პოეტის მეგობარმა მავრ იოკაიმ რომანიც-კი დასწერა, რომელშიაც პეტეფი ავსტრიის ციხის პატიმრად გამოიყვანა.

* * *

ამავე ზაფხულს შესრულდა ორმოც-და-ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მეორე უფრო შესანიშნავი მწერალი, ამერიკელი ედგარ პოე,—ჰენიოსი ბელეტრისტი, პოეტი და კრიტიკოსი. ედგარ პოე ჩამომავლობით ირლანდიელი იყო. იმისი წინაპარი მე-XVIII საუკუნეში გადასახლდა ირლანდიიდგან ამერიკაში. ედგარის პაპამ თავისუფლებისათვის ომის დროს გენერლის ხარისხამდე მიაღწია. სამაგიეროდ იმისი შვილი, მამა ედგარისა, უბრალო არტისტი იყო, ამასთან ლოთი, მოუსვენარი და წარა-მარა ცხოვრების მიმდევარი. არტისტი იყო აგრეთვე პოეტის დედაც.

შესანიშნავი მწერალი დაიბადა 1809 წელს, 7 იანვარს. 1811 წელს დედ-მამა გარდაეცვალა და ობლად დარჩა. ედგარს ჰყავნდა უფროსი ძმა, მამასავით ლოთი და და—იდიოტი; პირველი ლოთობისაგან გარდაიცვალა, მეორემ საავადმყოფოში დალია სული. სამის წლის ედგარი მდიდარმა ინგლისელმა ვაჭარმა ალანმა წაიყვანა თან ლონდონში და იქ პანსიონში მიაბარა. დედ-მამის ავადმყოფობის—ალკოგოლიზმის შედეგი ედგარს ადრე გამოაჩნდა; ჯერ ისევ სასწავლებელში იყო, რომ რაღაც სულიერი ავადმყოფობა დასჩემდა: მუდამ აშფოთებული იყო, რაღაც აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა. 1826 წელს ალანთან ერთად პოე ამერიკაში დაბრუნდა და იქ უნივერსიტეტში შევიდა. მაგრამ უნივერსიტეტის გათავება არ მოუხდა, რადგან ლოთობას მიჰყო ხელი და მალე დაითხოვეს. ამ დროსვე პოემ პირველი კრებული გამოსცა თავისს ლექსებისა. რამდენიმე წელიწადი ამის შემდეგ ედგარი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა. ეს ხანა მწერლის ცხოვრებისა გამოუკვლეველია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პოე ევროპაში იყო, იქ ბერძნების თავისუფლებისათვის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო; შემდეგ პარიჟში გაჩნდა, სადაც დუელი მოუხდა და დაიჭრა. პარიჟიდგან პეტერბურგში წავიდა, საიდგანაც მალე ისევ ამერიკაში დაბრუნდა, ჯარის-კაცად ჩაეწერა და ვესტ-პონტის სამხედრო აკადემიაში შევიდა. აკადემიაში პოემ სულ ერთი წელიწადი დაჰყო: ძველებურად ლოთობას შეუდგა და მალე იქიდგანაც დაითხოვეს.

ამ დროს ახალგაზდა მწერალი აუწერელ სიღარიბეში ჩავარდა. ხან ორი-სამი დღე უსმელ-უჭმელი დადიოდა ქუჩებში. ვესტ-პონტიდგან ფეხით ნიუ-იორკში ჩავიდა, იქ გამომცემელი იშოვნა და როგორც იქმნა გამოსცა ორი ტომი ახალის ლექსებისა. მაგრამ იმის ქონებრივ მხარეს განკარგება არ ეღირსა: ოთხი წელიწადი პოემ უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. საკვირველია, რომ თავისი საუკეთესო მოთხრობები და რომანები ედგარმა სწორედ ამ გაჭირვებისა და სიღარიბის დროს დასწერა. 1835 წელს ერთმა ლიტერატორმა მშიერი, ძალა და ღონე გამოლეული პოეტი ქუჩაში მწოლარე ნახა. ლიტერატორი კეთილი კაცი გამოდგა: ედგარი შინ წაიყვანა, ასვა, აჭამა, ტანისამოსი ჩააცვა და ამას გარდა ერთის ჟურნალის რედაქციაში ადგილიც უშოვნა. ამ ჟურნალშივე დაიბეჭდა ედგარის მანამდე დაწერილი მოთხრობები და რომანები.

ედგარმა გულმოდგინედ მიჰყო ხელი წერას. სწერდა ყველაფერს: მოთხრობებს, ლექსებს, პოემებს, კრიტიკულ წერილებს და სხვას. იმისი თხზულებები ერთსა და იმავე დროს რამდენსამე ჟურნალში იბეჭდებოდა. მაგრამ ედგარმა დიდ-ხანს ვერ შეიმაგრა თავი: მემკვიდრეობით გადმოცემულმა ავადმყოფობამ—ალკოგოლიზმა მალე ისევ იჩინა თავი და უდროოდ მოუღო ბოლო პოეტს: ერთ საღამოს პოე ძალზედ მთვრალი ქუჩაში ნახეს. მეგობრებმა საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც გენიოსმა მწერალმა მეორე დღესვე დალია სული.

ედგარ პოე ორმოცის წლისა გარდაიცვალა. ამერიკელებმა მხოლოდ სიცოცხლის შემდეგ დააფასეს. სიცოცხლის დროს თუმცა სიამოვნებით კითხულობდნენ იმის მოთხრობებს, მაგრამ დიდ მწერლად მაინც არა სთვლიდენ. სამაგიეროდ ევროპაში ძალიან ადრე გაუვარდა სახელი: ფრანგულს, ნემეცურს და რუსულს ენაზედ თითქმის სიცოცხლის დროსვე გადათარგმნეს ყველა იმის მოთხრობა და რომანი.

ი. ა—ძე

მე მოგახსენებთ იმას, თუ როგორ იმოქმედა ჩემზედ ამ კრიტიკამ იმ წიგნაკის წაკითხვის შემდეგ.

ბ-ნი კრიტიკოსი იწყებს თავისს მსჯავრს ამ რიგად: „ავტორი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ნამდვილი წევრი თურმე ბრძანდება და, მაშასადამე... კვალი თუმანი დაუხარჯავს და ამ ფულად ღირსეული კომპეტენცია მაინც უნდა ჰქონდესო“.

ჰა, ბატონო, დაუკვირდით ამ კრიტიკის დასაწყისს, თუ ამას რაიმე დამოკიდებულება აქვს წიგნაკის ღირსებასთან, ან ეს რა საბუთია წიგნაკის დასაფასებისა, ავტორი წევრია თუ არა, ან „კვალი თუმანი დაუხარჯავს“, თუ არა! ან აქ რა დაცინვაა, ვერ გამიგია. აიღეთ, თქვე დალოცვილო, რომელიც წიგნიც გსურთ ფრანგულს ენაზედ, ერთს-კი არა და ათასს ამ გვარს იპოვით. ხოლოთ, მაგალითად: „ახალი ვენახები“ (Les nouveaux vignobles), ცნობილ მეცნიერის ფოექსის თხზულება, რომელიც გამოვიდა ამ ორის თვის წინად და აი რას ვნახავთ: „Les nouveaux vignobles“, par Gustave Foëx, —Yiticulteur.—Inspecteur général de la viticulture.—Ancien professeur de viticulture et Directeur de l' Ecole Nationale d' agriculture de Monfpellier.

აი დაგელოცა ღმერთი სახელი, საწყალ ქვარიანს ერთი საწყალი სახელი ჰქონია და იმასაც უკიჟინებენ, როგორ იხმარეო, და ბ-ნი ფოექსი იმასაც აღარ სჯერდება, რომ დღეს მევენახეობის ინსპექტორია, არამედ ამატებს, რომ მევენახეც გახლავარ და ძველად მევენახეობის პროფესორიც ვიყავი და დირექტორიც სამეურნეო სასწავლებლისაო. ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ გაისარჯეთ და ერთი ვ. ვიალას თხზულება ჰნახეთ, რომ სახელის კითხვას რამდენიმე წუთი მოუნდეთ: იქ ნახავთ, თუ რამდენის საზოგადოების წევრი ყოფილა ბ-ნი ვიალა. რატომ ამათ არ დაუკიჟინებთ თქვე დალოცვილო. თქვენ თუ არა, აქაურმა მწერლებმა როგორ ვერ მიაქციეს ყურადღება? მაგრამ, არა, ვიმეორებ, აქ რაღაცა სხვა არის, რომლის შეტანა მწერლობაში არაფერი საკადრისია მწერალ კაცისათვის.

შემდეგ ბრძანებს კრიტიკოსი: „ქართველები სამ გვარად აყენებენ ვაზს, ბრძანებს ს-ნი ქვარიანი: 1) მაღლარი, 2) დაბლარი და 3) ტალავერი. განმარტებულია, რა არის დაბლარი და რა—მაღლარი. მოხსენებულია იმისთანა ღრმა და ძნელი ჭეშმარიტებანი, რომლის არ ცოდნა ცოდვად ჩაეთვლება ბალღსაც კი; მაგალითებრ, მაღლარი ხეებზედ არის აშვებული, დაბლარი კი არა; დაბლარს სწიდნავენ, მაღლარს კი არა...—არა ხსნის იმ მიზეზებს, თუ რა აიძულებს ქართველ კაცს ზოგან ადლ-ნახევარზედ შეჰკვეცოს ვაზი, ზოგან კი თავისუფლად აუშოს მაღალ ხეებზედა და სხ.“

ნუ თუ ამის მეტი ვერა ნახეთ რა იქა, ბ-ნო კრიტიკოსო? ნუ თუ ამის მეტი არაფერი სწერია ერთ გვერდ-ნახევარზედ? თქვენ რომ ფხიზლად გადაგეკითხათ, ნახავდით, რომ იქ სამივე წესი მევენახეობისა არის მოკლედ მაგრამ გარკვევით აღწერილი და მიზეზებიც ახსნილია, თუ ერთ ადგილას რათ ამჯობინებენ ტალავერს და მეორე ადგილას კი მაღლარს ან დაბლარს. მაგალითად, ბრძანებს ქვარიანი: მაღლარი—ერთად ერთი სისტემაა ნოტიო მხარეებშიო, ტალავერი-კი ხმელ და ცხელ ადგილებშიო, როგორც ტფილისის გუბერნია და სხ. გარდა ამისა რატომ არ გნებავთ გაიხსენოთ, რომ ბ-ნი ქვარიანი იძლევა მოკლე ცნობებს ჩვენის მევენახეობისას და არა სრულს სამეცნიერო შრომას. ეს მისი შრომა არის საგაზეთო წერილი, (რომელიც შემდეგ წიგნაკად გადმობეჭდეს) და არა სამეცნიერო ნაწარმოები.

შემდეგ ბ-ნი კრიტიკოსი შენიშნავს: „მაღლარ დაბლარს მოსდევს ფილოქსერა, ანტრაკნოზი, ბლეკროტი და სხვანიო“... და თითქო მეტი არაფერი! ნუ თუ მართლა ამ სახელების მეტს არას ამბობს ქვარიანი ვაზის სენის შესახებ? ან შეიძლება გგონიათ, რომ თქვენს გარდა არავინ წაიკითხავს ამ წიგნაკს და ან შეიძლება თქვენ არც წაგიკითხავთ და სხვისი ნაამბობით სჯით! რომ დაჰკვირვებოდით, ჰნახავდით, რომ ბ-ნი ქვარიანი ამის შესახებაც იძლევა მოკლე ცნობებს, თუ საიდგან და როდის გაჩნდა ეგ სნეულებანი, რა ზიანი მოუტანა ჩვენს მხარეს და რა ღონისძიებანი იქმნა მიღებული ამათთან საბრძოლველად. შეიძლება გნებავდათ, რომ ქვარიანს ისიც აეხსნა, როგორ მრავლდება ფილოქსერა და რა და რა სახისა არის იგი, მაგრამ ეგ ხომ ფრანგთათვის საინტერესო არ იქნებოდა, რადგან ჩვენზედ უწინ ამათ შეისწავლეს ეგ სენი და უკეთაც იციან. მაშასადამე, როდესაც ფრანგი გაიგებს, თუ რა წელში გაჩნდა კავკასიაში ფილოქსერა, საიდგან გადმოვიდა, რა ზიანი მოუტანა და რა ღონისძიებანი იღონეს მის წინააღმდეგ, რასაც შკვე სწერს ქვარიანი,—მარტო „tiens“ არ იტყვის, არამედ საკმაოდ დაკმაყოფილდება მისი ცნობის მოყვარეობა.

შემდეგ ბ-ნს კრიტიკოსს გაჰკვირვებია, ს. ქვარიანი არ ამბობს, რომ საქართველოში ევროპიული „ჩანები“ არისო. ან ყურძნის დამარცვლა ჩვენში გახშირებულიაო და სხ.

ხომ არა ხუმრობთ, ბ-ნო კრიტიკოსო? თუ ფიქრობთ, რომ რა კი ასეთი წესი საუფლისწულო, მუხრანსკისა და მიურატის მამულებშია, მაშასადამე, ეგ მთელს საქართველოს შეადგენსო, ცოტა არ იყოს, სცდებით. ბ-ნი ქვარიანი ქართველურის მეღვინეობის შესახებ სწერს და არა პრინცების და საუფლისწულო მამულებისა. როგორც სჩანს, არ გინახავთ საუფლისწულო მამულის მეტი და გიკვირთ ყურძნის დაუმარცვლავად დაწურვა, თორემ ქართველ კაცს ეგ არ ეუცხოვება. თქვენს უმორჩილესს მონასაც, ამ სტრიქონების დამწერს, აქვს ორიოდე ქცევა ვენახი და აყენებს ღვინოს, მაგრამ ევროპიული „ჩანი“ არამც თუ თავისსა და მის ახლო მდებარე მაზრებშიაც არსად უნახავს, პრინც მიურატის მამულის გარდა, არამედ საწნახელებში ვწურავთ ყველანი, ხოლო ყურძნის დამარცვლის ხსენებაც არ მოიპოვება არსად, ზემოდ დასახელებულ ადგილებში. რაც შეეხება დიდს მამულებს, ქვარიანიც ამბობს, რომ იქ-კი ევროპიული წესებია დაცულიო.

პ. გ—ანი

(დასასრული იქმნება)

## დამაკვირდი

ურთიერთას თავს კიდებდეთ, ურთიერთას კიტვირთევდეთ.

თეოდორე სტუდიელი

* * *

ბოროტ არს ჩვენ მტირალი და მოწყენე ვიყვნეთ, ოდეს ოფლითა შესუარულნი არა განვშორებიან საქმესა თვისსა.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

ვგლოვობ არა ობლობასა ჩემსა, ვინაითგან უოველი კაცი წესისამებრ ბუნებისა დაობლდების, არამედ დღესა მას, რომელსა ვერცა ერთი კეთილი საქმე შევქმენ.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკის ქალაქ ნიუ-ჯერსეიში უცნაური არჩევანები მოხდა: ბოშებმა (ციგნებმა) აირჩიეს დედოფალი. ამ არჩევანებზედ თავი მოიყარეს ჩრდილოეთის და შუა ამერიკის ბოშებმა. თუმცა წინანდელი დედოფალი, 94 წლის მოხუცი, ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოვება, ამ უკანასკნელმა სიცოცხლის დროსვე მოიწადინა თვისის მემკვიდრის „ტახტზედ“ აყვანა. დედოფლად ორი კანდიდატი დაასახელეს, ამათგან არჩეულ იქმნა 17 წლის ახალგაზდა ქალი ლაურა გარისონი. გვირგვინის კურთხევა კარავში მოხდა, გვირგვინი ახლად ნაკურთხ დედოფალს ძველმა დაადგა. ამ ცერემონიაზედ ბოშების გარდა სხვანიც ბევრნი შეიკრიბნენ. რადგანაც ახლად ტახტზედ ასულ „დედოფალს“ აუარებელმა ხალხმა მიჰმართა სამკითხაოდ, ამიტომ ამ უცნაურმა დედოფალმა „მეფობის“ პირველ დღესვე კარგა დიდძალი ფული მოჰკრიბა.

* *

ამას წინად პარიჟში ერთს სადგომში ქურდი შეპარულა. ქურდი ფანჯარიდგან გადასულა. გადამხტარა თუ არა ოთახში, კრაოტს წასწყდომია, რომელზედაც ქალი წოლილა. ქალი საშინლად შეშინებულა, მაგრამ დაძახება მაინც მოუსწრია. ხმა გარედ ქუჩაში გამვლელთ გაუგონიათ და სახლში შესულან. ქურდი სადღაც დამალულა. ცოტა ხანს უკან პოლიციელებიც მოსულან, მაგრამ ქალს შიშისაგან ისე დაჰბნევია დავთარი, რომ სიტყვის ამოღება ვერ მოუხერხებია, მხოლოდ გაშტერებული შეკრებილ ხალხს უყურებდა თურმე. მაშინ ერთს ყმაწვილ კაცს დაუძახნია,—სახლი დავათვალიეროთო, ქურდი ხომ არსად არისო, თვითონ ამ ყმაწვილს აუღია სანთელი და წინ გასძღოლია სახლის გასაჩხრეკად პოლიციელებს, მაგრამ ყოველსავე ძებნას უნაყოფოდ ჩაუვლია. როდესაც პოლიციელები ქალის ოთახში დაბრუნებულან და უთქვამთ, ქურდი არსად არისო, გონ მოსულ ქალს წამოუძახნია: „როგორ! განა არ დააპატიმრეთ? ქურდი ხომ ის იყო, რომელმაც სანთელი წამოიღო. მე მეგონა დასაპატიმრებლად წაიყვანეთ“-ო. პოლიციელნი გარედ გავარდნილან, მაგრამ გვიან და იყო: ყმაწვილ კაცს უკვე მოესწრო დამალვა.

* * *

ერთმა ამერიკელმა ახალგაზრდა ყმაწვილმა კაცმა ლატარია გამართა. ლატარიაში მოსაგებად ამ ყმაწვილმა კაცმა თავისი თავი ჩააგდო. განცხადებაში, რომელიც დიდ გაზეთში დაბეჭდა, ყმაწვილი კაცი აცხადებდა, რომ მე ოცდახუთის წლისა ვარ, შესახედაობით ლამაზი და სრულიად ჯანმრთელიო. ბილეთები საოცრად იყიდება. დანიშნულ დღეს ყველანი შეიკრიბნენ. ყმაწვილი კაცი ლატარიაში ერთ მოხუცებულ ქალს ერგო. მაგრამ ეს ქალი ჭკვიანად მოიქცა, იფიქრა,—ყმაწვილი კაცი მე არ გამომადგებაო და თავისი მოგებული ბილეთი ერთს ახალგაზდა ქალს მიჰყიდა ძალიან კარგ ფასად. ამ ქალმა თვისის მომავალის ქმრის მისაღებად 4000 კილომეტრზედ მეტი გზა გაიარა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმის გაკვირვება, როდესაც ყმაწვილი კაცი იმისი ღვიძლი ძმა გამოდგა. დაძმა რამდენიმე წელიწადი დაშორებულნი იყვნენ და ერთმანეთის ამბავი არაფერი იცოდნენ. საწყალ ქალს ისე სწყენია საქმროს ნაცვლად დაკარგულის ძმის პოვნა, რომ კინაღამ ავად გამხდარა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 აგვისტო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. „ფიგარო“ იუწყება, რომ ინსტიტუტის წევრს მონოს ლაპარაკი ჰქონდა ფრეისინესთან მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს ჩვენება ჩამოართვესო. მინისტრად ნამყოფმა განაცხადა, სასურველია, რომ ხალხის დასაწყნარებლად, დრეიფუსი გამართლებულ იქმნასო, რადგანაცო,—უთქვამს ფრეისინეს, — თუ ხელ-ახლა საჯელი გადაუწყვიტეს დრეიფუსს, უთანხმოებას დასასრული აღარ ექმნებაო“.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. ხალხის დაუსწრებლად კრებამ სამი საათი გასტანა. 9 საათსა და 30 წუთიდგან კრება საჯარო იყო. გამოიხმეს ლებრენ-რენო. რენომ გაიმეორა დრეიფუსის გამოტეხის ამბავი, არ მახსოვსო, სთქვა თუ არა დრეიფუსმა, რომ გაცემული ქაღალდები მარტო პირი იყო ნამდვილისაო. მერსიემ მიბრძანა ელისეის სასახლეში წავსულიყავ, მაგრამ იქ მე არ შემიშვესო. დემანჟის კითხვაზედ ლებრენმა სთქვა, დრეიფუსი თავისთვის ლაპარაკობდა, მე პასუხს არ მიგებდაო. დემანჟმა შემდეგ ჰკითხა: სიტყვა, „მე უდანაშაულო ვარ“-იდგან როგორ გამოიყვანეთ გამოტეხაო? ლაბორიმ სთქვა, რომ ლებრენის მოხსენებაში არაფერია ნათქვამი დრეიფუსის გამოტეხის შესახებაო. ლებრენმა გაიმეორა, რომ ჩემი საქმე მხოლოდ დრეიფუსის წაყვანა იყოო. ლაბორიმ გაიკვირვა, რა მიზეზით ამოხია რენომ თავისს უბის წიგნიდგან ფურცელი პალატის სხდომის მეორე დღეს, როდესაც ამის შესახებ იყო ლაპარაკიო. ლებრენმა განაცხადა, რომ პირი, რომელიც კავენიაკმა ამ წიგნიდგან გადაიღო, შეუცდომლად ვცანი, იმიტომ დავხიეო.

კაპიტანმა ანტუანმა სთქვა, რომ გამოსვლის დროს დრეიფუსის განსამართლების შემდეგ ატტელი შემხვდა, რომელმაც დრეიფუსის გამოტეხის ამბავი გადმომცაო.

დრეიფუსმა შენიშნა, რომ მხოლოდ ლებრენ-რენოსთან ვლაპარაკობდიო.

პოლკოვნიკმა გერენმა განაცხადა, რომ ლებრენ-რენომ მიამბო დრეიფუსის გამოტეხის ამბავი და შემდეგ ეგევე ამბავი სხვა აფიცერთაც გადასცაო.

20 აგვისტო

**რენნი.** სასამართლომ კრება განაგრძო. დრეიფუსი ამტკიცებდა, რომ ლებრენ-რენოსთან მარტოდმარტო ვიყავი და კაპიტანი ატტელი არ შემოსულა იმ ოთახში, სადაც მე ვიმყოფებოდიო. ლებრენი თავისას გაიძახოდა. დრეიფუსმა სთქვა, რომ ყოველ შემთხვევაში ატტელისათვის არ მიმიმართავსო.

პოლკოვნიკი გერენი დაემოწმა ლებრენის ნათქვამს და დაუმატა, რომ გენერალ სოსიეს მოხსენება წარუდგინე დრეიფუსის გამოტეხის შესახებაო.

მაიორმა მარტიმ განაცხადა, რომ ანტუანიც ამბობდა დრეიფუსის გამოტეხის ამბავსაო.

კონტროლიორმა პეიროლმა სთქვა, რომ დრეიფუსი გამოუტყდა ლებრენს თავისს დანაშაულშიო. მოწმემ დაუმატა, როდესაც ზოლას საქმის დროს ლებრენს შევხვდი, ვკითხე,—რატომ გამოტეხის ამბავი მინისტრ. პრეზიდენტს დიუპუის და კაზიმირ პერიეს არ აცნობეთ მეთქი? ლებრენმა მომიგო, რაღაც შიში მაბრკოლებდა, რადგანაც, როდესაც სასახლეში ვიცდიდი, მეორე ოთახიდგან შემდეგი სიტყვები მომესმა: „რა ჟანდარმია ეს, რომელიც საიდუმლოებას ამჟღავნებს? ამის გულისთვის არ ინანოს იმანაო“. დრეიფუსმა განაცხადა, არ მითქვამს სამის წლის შემდეგ განიხილავენ ჩემ საქმესა მეთქი; მხოლოდ ვიცოდი, რომ მთავრობისათვის ორი წელიწადი იყო საჭირო ჩემის სიმართლის აღმოსაჩენადაო.

შერშ-მიდის საპყრობილის დირექტორმა ფორცინეტიმ განაცხადა, რომ დრეიფუსის ყოფა-ქცევა უდანაშაულო კაცის ყოფა-ქცევასა ჰგავანდა. ასეც გამოუცხადე გენერალს ბუადეფრსაო. ფორცინეტიმ გაიხსენა დრეიფუსის სასოწარკვეთილება და ის, რომ თავის მოკვლა განიზრახა. დრეიფუსი დაემოწმა და სთქვა, რომ ეგ განზრახვა მხოლოდ ცოლის წყალობით ვერ მოვიყვანე სისრულეშიო. ბუადეფრმა განაცხადა, ფორცინეტის ჩემთვის არაფერი უთქვამს დრეიფუსის უდანაშაულობის შესახებაო. კრება დასრულდა.

**პარიჟი.** გამომძიებელი ფაბრი განაგრძობს იმ ქაღალდების განხილვას, რომელიც შეთქმულებას შეეხება. კომისარმა გაჩხრიკა ინჟინერის ლევეის სადგომი, მაგრამ უნაყოფოდ. როგორც ამბობენ, ლისსაჟუ ავად არის, მაინც ცალკე ოთახში დაამწყვდიეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

აბასთუმანში 10 მარიამობისთვეს გაიმართა წარმოდგენა და ბაზარი, რომლიდგანაც შემოვიდა 1,321 მან. ამფულიდგან ხარჯის გამორიცხვის შემდეგ ნაღდად დარჩა ასი თუმანი, რომელიც გაუგზავნეთ ბ-ნს გორის მაზრის მარშალს თავ. ბაგრატიონ დავითაშვილს. დიდ მადლობას ვუძღვნით იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში: ქ-ნთ ფრიდონოვისას, საფაროვისას, ხოჯაშვილისას და შელკოვნიკოვისას; ბ-ნთ: ამიროვს 1-ს, ამიროვს 2-ს, ვართანოვს, კალამქაროვს, რეზუნოვს და წურინოვს. აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით ფულის უხვად შემოწირვისათვის ქ-ნს ნ. ა. ტერეშჩენკოს, და ნივთების შემოწირვისათვის ქ-ნთ: აბულაძისას, კნ. არღუთინსკისას, არამაკლისოვისას, ათაბეგოვისას, აქიმოვისას, ბაბაევისას, ბოლქვაძისას, კნ. ბარათაშვილისას, ვართანოვისას, გველესიანისას, კნ. გურამიშვილისას, გერმანოვიჩისას, გიპიუსისას, გენნერისას, დავითაშვილისას, ძოწენიძისას, ჯორჯიკიასას, ზედგინიძისას, ყარალოვისას, კიანჯუნცოვისას, კოსტანოვისას, კახიანისას, ქუთათელაძისას, კნ. მუხრანსკისას, კნ. მაჩაბლისას, მიქაბერიძისას, მესხისას, მამიკონიანცისას, მარლანიასას, მიჩერლინგისას, ოჰანეზოვისას, ოცხელისას, ფალავასას, რეშელისას, თოფურიძისას, ტრახტენბერგისას, ჩაჩიევისას და კნ. შარვაშიძისას; ბ-ნთ ბოისმანს, გოპაძეს, მაკაროვს, მირაქოვს, ხოპერიას, ლორთქიფანიძეს, ხელთუფლიშვილს, ჩარექოვს, შხიანელს; კიდევ ფულის შემოწირვისათვის: კნ. ბარბარე მუხრან ბატონისას, კნ. ნ. ორბელიანისას, კნ. შერვაშიძისას, ბ-ნს ხელთუფლიშვილს, ამიროვს, კოსტანიანს და შტაბს კაპიტანს პოპოვს. დასასრულ დიდ მადლობას ვუძღვნით ადგილობრივს ბოქაულს ტელიშოვს, რომელმაც დიდი შრომა მიიღო.

წარმოდგენის გამგენი: კნ. ნინა ბარათაშვილისა, კნ. ქეთევან ამირაჯიბისა, კნ. ბარბარე ამირაჯიბისა, მარია გოპაძისა და ელენე მაკაროვისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 20 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.